მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და სივრცით–ტერიტორიული
დაგეგმარების საკითხთა კომისიის სხდომა

ოქმი №1

ქ. მარტვილი 24 იანვარი, 2023 წელი

სხდომა დაიწყო 14^{00} სთ-ზე, დამთავრდა 15^{00} სთ-ზე

სხდომას ესწრებოდნენ: შალვა ბახია, ლევან სურმავა, კობა დარჯანია, ზურაბ მელიავა, შალვა თაფლაძე, ზაურ ჯახუა, ელდარი თოდუა.
სხდომას თავმჯდომარეობდა მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე შალვა ბახია.
მოისმინეს 1: სხდომის თავმჯდომარემ შალვა ბახიამ დღის წესრიგის პროექტი გააცნო სხდომის მონაწილეებს.

დღის წესრიგი:

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომობილების (ავტომანქანა ROLBA KA 1500 ნაგავშემკრები და ავტომანქანა FAVGA 1051 ნაგავმზიდი) საწყისი საპრივატიზაციო საფასურის, სამოცდაათ პროცენტამდე შემცირების შესახებ; /მომხსენებელი-შალვა ბახია, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე/
2. ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის დამტკიცების თაობაზე" მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 დეკემბრის №87 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
/მომხსენებელი-შალვა ბახია, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე/
კომისიის თავმჯდომარემ სთხოვა კომისიის წევრებს საკითხის წინ გაევლოთ რეგისტრაცია.

რეგისტრაცია გაიარა კომისიის 7–მა წევრმა.

მოისმინეს1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულო ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის შალვა ბახიას მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომობილების (ავტომანქანა ROLBA KA 1500 ნაგავშემკრები და ავტომანქანა FAVGA 1051 ნაგავმზიდი) საწყისი საპრივატიზაციო საფასურის, სამოცდაათ პროცენტამდე შემცირების შესახებ.
მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომობილების (ავტომანქანა ROLBA KA 1500 ნაგავშემკრები და ავტომანქანა

FAVGA 1051 ნაგავმზიდი) საწყისი საპრივატიზაციო საფასურის, სამოცდაათ პროცენტამდე შემცირების შესახებ საკითხი და კომისიის წევრებს განუმარტა, რომ როგორც ირკვევა აღნიშნული ქონება რამდენჯერმე იყო გატანილი აუქციონზე, მათ შორის ღირებულების 50%–ადაც და არ გაიყიდა, საქართველოს მთავრობის 669 დადგენილების შესაბამისად აღნიშნული ქონების საპრივატიზაციო საფასურის კიდევ შესამცირებლად საჭიროა საკრებულოს თანხმობა და კომისიის წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულის მიზანშეწონილობაზე.

აზრი გამოთქვეს: ლევან სურმავამ აღნიშნა, რომ მას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნულ ქონებაზე მოხდეს საპრივატიზაციო საფასურის 70%–მდე შემცირება, რასაც დაეთანხმნენ კომისიის სხვა წევრებიც.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დასვა საკითხი, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომობილების (ავტომანქანა ROLBA KA 1500 ნაგავშემკრები და ავტომანქანა FAVGA 1051 ნაგავმზიდი) საწყისი საპრივატიზაციო საფასურის, სამოცდაათ პროცენტამდე შემცირების შესახებ.
კენჭისყრის შედეგები;
მომხრე 7. წინააღმდეგი 0.
კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომობილების (ავტომანქანა ROLBA KA 1500 ნაგავშემკრები და ავტომანქანა FAVGA 1051 ნაგავმზიდი) საწყისი საპრივატიზაციო საფასურის, სამოცდაათ პროცენტამდე შემცირების შესახებ.
მე–2 საკითხის წინ კომისიის თავმჯდომარემ სთხოვა კომისიის წევრებს საკითხის წინ გაევლოთ რეგისტრაცია.
რეგისტრაცია გაიარა კომისიის 7–მა წევრმა.

მოისმინეს2. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულო ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის შალვა ბახიას მოხსენება, ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის დამტკიცების თაობაზე" მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 დეკემბრის №87 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო აღნიშნულო საკითხი და კომისიის წევრებს განუმარტა, რომ ცვლილება განპირობებულია საკრებულოს მიერ მიღებული ზემოთ აღნიშნულ გეგმაში ცვლილებებით და კომისიის წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულის მიზანშეწონილობაზე.

აზრი გამოთქვეს: კობა დარჯანიამ აღნიშნა, რომ მას მიზანშეწონილად მიაჩნია ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის დამტკიცების თაობაზე" მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 დეკემბრის №87 განკარგულებაში ცვლილების შეტანა, ვინაიდან აღნიშნული გეგმა წარმოდგენილი ცვლილებებით წარმოადგენს მარტვილის მუნიციპალიტეტის ინტერესს, რასაც დაეთანხმნენ კომისიის სხვა წევრებიც.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დასვა საკითხი, ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის დამტკიცების თაობაზე" მარტვილის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 დეკემბრის №87 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
კენჭისყრის შედეგები;
მომხრე 7. წინააღმდეგი 0.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: „მარტვილის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის დამტკიცების თაობაზე" მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 დეკემბრის №87 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე: შალვა ბახია